სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

53798439198416

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N161067750

რეგისტრაციის თარიღი

16.09.2016 წ

ნოტარიუსი: ნინო უბერი

მისამართი: ქ. თბილისი, გ. გაბაშვილის ქ. #4

ტელეფონი: (995 32) 231 23 11

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

საქართველო
სანოტარო აქტი
მინდობილობა

ორიათას თექვსმეტი წლის თექვსმეტ სექტემბერს, მე, ნინო უბერს, ნოტარიუსს, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, გ. გაბაშვილის №4, მომმართა შემდეგმა სრულწლოვანმა და ქმედუნარიანმა პირმა: **ვაჟა მაისურაძემ.** მან, როგორც **შპს No12-ს დირექტორმა,** განაცხადა, რომ სურს უფლებამოსილება მიანიჭოს: **ვასილ ცანავას და ზვიად სურგულაძეს. ვაჟა მაისურაძემ** მოითხოვა მინდობილობის შედგენა და მისი დამოწმება სანოტარო წესით ჩემს მიერ. მე დავადგინე მისი პირადობა წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად აღნიშნულმა პიროვნებამ მომმართა. მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და დავრწმუნდი, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ არსებობს. მე შევამოწმე **ვაჟა მაისურაძის,** როგორც **შპს No12** (რეგისტრირებული: 12/08/2011. საიდენტიფიკაციო კოდი: 404406549. იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, ხოდაშენის ქ. №12) **დირექტორის** უფლებამოსილება წარმოდგენილი დოკუმენტით: **ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიული პირების რეესტრიდან.**

მიმნდობის ნების გამოვლენის ნამდვილობისა და გარიგების შინაარსის დადგენისთანავე შედგა შემდეგი აქტი:

ვაჟა მაისურაძემ (დაბადებული: 15.05.1972წ. პირადი №01030020185. რეგისტრირებული მისამართი: ქ. თბილისი, ზურგოვანი) - **შპს No12-ს დირექტორი,** რომელიც შემდგომში მოხსენიებულია, **როგორც „მიმნდობი“,** **ვასილ ცანავას** (დაბადებული: 26.11.1979წ. პირადი №01010007370. რეგისტრირებული მისამართი: ქ. თბილისი, მ. მესხის ქ. №54/5) და **ზვიად სურგულაძეს** (დაბადებული: 06.03.1980წ. პირადი №01017010566. რეგისტრირებული მისამართი: ქ. თბილისი, ლ. გუდიაშვილის ქ. №9), რომელიც შემდგომში მოხსენიებულია, **როგორც „მინდობილი“,** მიანიჭა შემდეგი უფლებამოსილება:

მუხლი 1. უფლებამოსილების შინაარსი

მინდობილი/მინდობილები უფლებამოსილნი არიან (როგორც, დამოუკიდებლად, ასევე, ერთობლივად) **შპს No12-ს დირექტორის სახელით:**

წარმოადგინოს **შპს No12 და მისი დირექტორი** სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში. კერძოდ, **შპს No12-ს** საკუთრებაში არსებული ქ. თბილისში, უზნაძის №82-ში მდებარე უძრავი ქონების რეკონსტრუქციის განხორციელების მიზნით, ზემოთ აღნიშნულ სამსახურში წარმოადგინოს რეკონსტრუქციის პროექტი, მოითხოვოს და წარმოადგინოს ყველა საჭირო ინფორმაცია/დოკუმენტი, ხელი მოაწეროს ყველა საჭირო დოკუმენტს/საბუთს და განახორციელოს ყველა საჭირო ქმედება, რაც აუცილებელია წინამდებარე მინდობილობით მიცემული დავალების შესასრულებლად.

მუხლი 2. უფლებამოსილების ვადა

წინამდებარე აქტი მოქმედებს სამი თვის ვადით და ძალაშია ორიათას თექვსმეტი წლის თექვსმეტი დეკემბრის ჩათვლით.

აქტის ეგზემპლარები და დანართი

წინამდებარე აქტი შედგენილია სამ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი შეინახება აქტის მიმღები ნოტარიუსის სანოტარო არქივში, ხოლო დანარჩენი გადაეცემა მიმნდობს.

წინამდებარე აქტის სანოტარო არქივში დაცულ ეგზემპლარს თან ერთვის შემდეგი დოკუმენტები:

შპს No12-ს წესდება (შტამპი: №232. თარიღი: 11/08/2011. საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო). დოკუმენტი ხელმისაწვდომი გახდა სამეწარმეო რეესტრის ვებ-გვერდიდან;

ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიული პირების რეესტრიდან. განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: B12109452. ამონაწერის მომზადების თარიღი: 24/09/2012.

სანოტარო მომსახურების ხარჯები:

საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის №507 დადგენილების „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ“, 31-ე და 39-ე მუხლებისა და საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლის თანახმად, გადახდილია სანოტარო საზღაური: 10 (ათი) ლარი, დღგ: 1.80 ლარი და ელექტრონულ სანოტარო რეესტრში სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური: 2 (ორი) ლარი _ ჯამში: 13.80 (ცამეტი ლარი და ოთხმოცი თეთრი) ლარი.

მე, ნოტარიუსმა მიმნდობს წავუკითხე წინამდებარე აქტი და განვუმარტე მასზე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები. მან წაიკითხა აქტი, განაცხადა, რომ იწონებს წინამდებარე აქტს და ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა მას ხელი. ყოველივე ზემოთქმულს ვადასტურებ ჩემი ხელმოწერითა და ბეჭდის დასმით.

მიმნდობი: შპს No12-ს დირექტორი:

სახელი, გვარი _____ ვაჟა მაისურაძე

ნოტარიუსი ნინო უბერი

